წელიწადი პირველი

ტფილისი
1918 წ.
კვირა 8 დეკემბერი.

№ 2.

6521
ბ. 4021
F 49/1918

რესპუბლიკის ჯარი

ყოველ-კვირეული სამხედრო ჟურნალი

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით).

ყოველ-კვირეული სამხედრო ჟურნალი

„რესპუბლიკის ჯარი“

მიიღება ხელის მოწერა 1918 წ.

ჟურნალი წლის დამლევამდე ღირება **5** მ., ცალკე ნუმერი **1** მ. **50** კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, სამხედრო ჟურნალის რედაქცია **„რესპუბლიკის ჯარი“**, რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სამხედრო სამისისტროს შენობაში ბარიატინსკის ქუჩაზე და ღია არის დილის **11—3** ს. და საღამოს **7—8** ს. **სარედაქციო კოლეგია.**

შინაარსი:

ა) სალამი სახალხო გვარდიას.
ბ) საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომის სტერნოგრაფიული ანგარიში—ნ. ჩხეიძის და ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვები.
გ) სახალხო გვარდიელებს—ლექსი.
დ) სალამი—ლექსი.
ე) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში—გ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ჟურნალი

„რესპუბლიკის ჯარი“.

(სამხ. სამინის. განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

ოფიციალი განყოფილება

საქართვ. დემოკრატ. რესპუბლიკის მთავრობა

55569

22 გიორგობისთვე 1918 წელი.

ბრძანება

ვინაიდგან ყაჩაღობამ თელავის მაზრაში თავის თავხედობით ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო შეიქმნა არაჩვეულებრივი ზომების მიღება, საქართველოს მთავრობა თელავის მაზრაში სამხედრო წესებს აცხადებს. დროებით თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნოს გუბერნიის კომისარი მაღლაყელიძე, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სამხედრო და საადმინისტრაციო ძალები. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

მთავრობის საქმეთა მწარმოებელი
კ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე.

საქართველოს საზღვრების დაცვა.

საბაჟოების და სანაპირო რაზმების განყოფილების, უბნების და სადარაჯო ბინების უფროსებს.

მიღებული ცნობებით, იმ პირთ, რომელნიც მიემგზავრებიან ბაქოს და ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზებზედ, გააქვთ საქართველოს საზღვრებიდან დიდძალი სურსათი და საქონელი, რომლის გატანა აკრძალულია. ამის შეწყვეტისათვის საჭიროა სწრაფად მიღებულ იყოს შემდეგი ზომები.

1. მატარებლები, რომელნიც მიდიან საქართველოდან ბაქოში, უნდა იყოს დათვალიერებული სალო-ოღლის სადგურზე და რომელნიც მიდიან ალექსანდროპოლ-ერევნისკენ სადგურ სანაინში.

2. მატარებლების და მგზავრების დათვალიერებას ხელმძღვანელობს საბაჟოს მოხელე სანაპირო დარაჯის თანდასწრებით და დახმარებით.

3. მგზავრების დათვალიერების დროს უნდა ხელმძღვანელობდეთ შემდეგით:

ა) თითეულ პირს ნება აქვს წაიღოს: ნახევარი გირვანქა შაქარი, მერვედი ჩაი, ერთი საპონი, მეოთხედი თუთუნი, 50 ცალი პაპიროსი, ორი პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი და სხვა სურსათი, რაც აუცილებელი საჭიროა ორ დღე და ღამისთვის.

ბ) ნაჩვენებ ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი შეუძლიათ წაიღონ იმათ, ვისაც აქვს მოწმობა საქართველოს რესპუბლიკის საქონლის გამცვლელ-გამომცვლელ თავმჯდომარისაგან.

გ) მგზავრების ხაბაკის გარდა (მუხ. 713 წესდ. საბაჟ.) ყველაფერი ზომაზე მეტი სურსათი და საქონელი ერთმევათ და სდგება ერთი ოქმი (აქტი).

დ) აქტში უნდა იყვეს ნაჩვენები იმ პირთა სახელი და გვარი, ვისაც საქონელი ან სურსათი ჩამოართვეს და აგრეთვე რაოდენობა და თვისება ჩამორთმეულ საქონლისა და სურსათისა.

Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გვარდიის არტილლერიის შესვლა სოჭაში.

სახალხო გვარდიელები შავი მღვის სანაპიროს მიმართულებით.

არა ოფიციალი განაოფილება

ქვირა, 8 დეკემბერი.

სალამი სახალხო გვარდიას

გასულს ქვირას დამოუკიდებელი არსებობის ნახევარი წლის თავი იდღესასწაულა საქართველომ. მან მსოფლიოს გადაუშალა თავისი სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი ნიჭი და ხმა მაღლა განაცხადა, რომ სურს და კიდეც შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. მისმა მთავრობამ საქართველოს საკანონმდებლო ტრიბუნიდან მოაგონა ყველას ის, რაც მას გაუკეთებია ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენში რწმენა, რომ ქართველ ერს ბრწყინვალე მომავალი აქვს. თუ ამ მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა ეს არა მარტო მის შემოქმედებითი ნიჭს უნდა მიეწეროს, არამედ იმ შეგნებულ ძალასაც, რომელიც ცეცხლით და მახვილით იცავდა ჩვენს მთავრობას დანებას არ აძლევდა ირგვლივ შემოსეულ მტრებს ჩაყლაპათ ჩვენი თავისუფლება და დასამარებინათ რევოლიუციით მონაპოვარი...

ჩვენ სახელოვან სახალხო გვარდიაზე ვლაპარაკობთ... იმ სახალხო გვარდიაზე, რომელმაც წყვდიადით მოცულ რუსეთშიაც კი გაითქვა სახელი. ს. ვ ო ლ ს კ ი მ, რომელმაც იგემა რუსეთის სინამდვილე, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დამყარებული, „კიევსკაია მისლის“ ფურცლებზე ამცნო რუსს მკითხველებს, თუ როგორ შეგნებით და ს ა ა თ ნ ო ბ ე ბ ი თ აღსავსე ჩვენი სახალხო გვარდიელები შეუპოვარ სიმამაცით იცავენ რევოლიუციას და თავისუფლებას-

დიდ! როცა საქართველოს თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ — მაშინ თვალწინ წამოგვიდგება ჩვენი სახალხო გვარდია.

არავინ გადამეტებულათ არ ჩამოგვარომეს რომ ვსთქვათ, რომ, თუ საქართველოს თავისუფლება დღემდის ხელიდან არ გასხლსტომია, თუ საქართველომ აიცდინა ბოლშევიკური ავანტიურა და სამოქალაქო ომი, ეს უმთავრესად ჩვენი გვარდიის წყალობით არას, ეს მათი შეგნების ნაყოფია... გასულს წელს, როცა ამიერ კავკასიის ფრონტი მიატოვა გაბალშევიკებულმა ჯარის-კაცებმა და არზრუმ - ტრაპეზუნით დაბრუნებულები ლამობდენ აეოხრებინათ ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენი შეგნებული მუშები იარაღით ხელში გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ და იხსნეს ქვეყანა საშინელ სისხლის ღვრისაგან... შინაურ მტრებთან ხომ მოუსვენრად იბრძვის ჩვენი გვარდია...

ჩვენ არ გავჩერდებით სადახლოს, სოხუმის, დუშეთის და რაჭა-ლეჩხუმ-სამეგრელოს მეამბოხეთაგან განთავისულების ისტორიაზე, ამას სხვა დროს უფრო დაწვრილებით შევეხებით. ჩვენი გვარდიის ამ რაიონებში მოქმედების აღწერით ისტორიკოსები დამაშვენებენ საქართველოს ისტორიის ფურცლებს, რითაც იამაყებს ჩვენი მომავალი თაობა...

ეხლა კი სახალხო გვარდიის შედგენილოფიდან ერთი წლის შესრულების გამო — გულ-წრფელ სალამს ვუძღვნით ჩვენს სახელოვანს გვარდიას და ვარწმუნებთ, რომ საქართველოს ნორჩი ჯარი, რომელიც ხალხის ღვიძლი შვილია და ახალს დემოკრატიულ საფუძველზე იწრთვნება, მასთან ერთად იქნება, რომ სამარადისოდ განამტკიცოს ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ჩხეიძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

პარლამენტის საზეიმო სხდომა

საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის აღსანიშნავად.

(სტენოგრაფიული ანგარიში)

1 დეკემბერი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გთხოვთ, დაბრძანდეთ! კრება გახსნილი გახლავთ (მოისმის ჰიმნი. დარბაზი ფეხზე ადგომით ისმენს).

ნიკოლოზ ჩხეიძის სიტყვა.

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო!

ექვსი თვეა მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ექვსი თვეა, რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ხალხის ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ ისტორიაში, რასაკვირველია, ეს ძალიან ცოტა დრო არის. მაგრამ იმ ხანაში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, როცა ხდება ძირითადი ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, როდესაც ჩვენ შევდივართ ახალ ხანაში, მაშინ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ჩვენ წარვდგით ამ ექვსი თვის წინეთ, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა, ნეიტრალობა, და ხალხთა შორის სოლიდარობა—აი ის საფუძველი, რაზედაც დავამყარეთ ჩვენ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა სახელმწიფოებრივ შენობაში. და ჩვენ ჩვენის ნებით ამ პრინციპს და გზას არ გადაუხვევთ.

მე, ჩემ და თავად ზედმეტად მიმაჩნია განმარტება დაწვრილებით ჩვენი დამოუკიდებლობის მნიშვნელობისა.

მე მინდა მხოლოდ შემდეგზე მივაქციო თქვენი ყურადღება.

თქვენ ძალიან კარგად იცით, ხალხის წარმომადგენელნო, რომ მეფის რუსეთი მოსისხლე მტერი იყო, სხვათა შორის, ხალხის თვითგამორკვევისა. მიტომაც, როცა მეფის რუსეთი დაინგრა, სხვათა შორის, უპირველესად გაისმა ლოზუნგი ხალხთა გამარჯვებისა და ძველი რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენება იწყო სხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებმა. ეს სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ პროცესის შეჩერება შეიძლება და, თუ გინდ ფიქრობს, რომ შესძლებს უკულმა შეატრიალოს ეს პროცესი, ან ეს მიმდინარეობა და ხელოვნურ კალაპოტში მოამწყვდიოს—ჩემის აზრით, ის ძალიან სცდება.

საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა ყველაზე უგვიანეს გამოაცხადა, გამოაცხადა მაშინ, როდესაც რუსეთი ნანგრევად იქცა, და რევოლუცია—ანარქიად. მიუხედავად ამისა, არც ერთ აქტს დამოუკიდებლობისას რუსეთში არ გამოუწვევია ისეთი მწვავე ინტერესი, როგორც გამოიწვია აქტმა ჩვენი დამოუკიდებლობსა.

დამოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადეს იმ ელემენტებმა, რომელზედაც დაბჯენილი იყო თვითმპყრობელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. რადგანაც ისინი დაჯერებული იყვნენ, და არიან დღესაც, რომ საქართველო უკუნითი უკუნისამდე უნდა დარჩეს საუკეთესო სამკაულად მეფის გვირგვინისა.

ისინი ვერ გაიგებენ, რომ საქართველო იყო განძი, და სამკაული, რომელსაც ხალხმა ათასი წლის განმავლობაში შესწირა თავისი სისხლი და სიცოცხლე.

საქართველოს ბრძოლა გამოუცხადეს ის ელემენტებმა, რომლებიც მუდამ აიასოფია და სტამბოლზე ოცნებობდნენ, და ისინი ვერ მიხვდნენ, და ვერ მიხვდებიან, რომ დამოუკიდებელი საქართველო, არასოდეს, არავითარ მონაწილეობას მილიტარიულ ავანტიურაში არ მიიღებს. ის დაიცავს თავის თავს და არ გამოეცილება სხვას.

ჩვენ დ მოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადა ბოლშევიზმმა, რადგანაც საქართველო გადაიქცა ბჭედ რევოლუციისა, — და ბოლშევიზმი — კონტრ-რევოლუციისა.

არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც, საქართველოს დამოუკიდებლობას, ასე ვსთქვათ, „ობივატელურად“, ან სიხარბის თვალით უყურებენ. ხშირად მათი ხელობა არის, მძრომიალობა კინკლაობა, და მოღალატეობა. ისინი მაინც არ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს, თუმცა მათზე თვალი მარჯვედ უნდა გვქონდეს. მათ პოლიტიკას უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი მტკიცე და გულ ახდილი პოლიტიკა ხალხის სოლიდარობისა, და თუ ჩვენ ამ გზას მტკიცედ დავადგებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ესეთი ელემენტებიც გონს მოვლენ.

არის კიდევ ერთი ჯურის ხალხი, რომელიც უარყოფით არ ეპყრობა ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ ისინი მუდამ თავს დაგვტირიან და მოსთქვამენ, რომ ჩვენ ვართ სუსტი და ასეთი პირობებში დამოუკიდებლობა დაგვღუპავს ეკონომიურად და ფინანსიურად. მე ვფიქრობ, რომ უდიდესი ნაწილი ამ ჯურის ხალხისა არის ეშმაკის მოციქული. და მათდამი ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყვნეთ მხოლოდ თუ მათ შორის არიან გულწრფელნი, ჩვენ ვეტყვით მათ: „თუ ჩვენ სუსტნი ვართ, მოდით, და თქვენის საქმიანობით და ცოდნით დაგვეხმარენით, და გაგვამაგრეთ“!..

ხალხის წარმომადგენელნო!

ჩვენ მეგობრებიც ბევრი გვყავს, კეთილმოსურნენი და ამათზე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა გითხრათ თქვენ.

თქვენ კარგათ იცით, ხალხის წარმომადგენელნო, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის დემოკრატია სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, ჩვენი დემოკრატია ხელიხელ ჩაკიდებული ეწეოდა. საერთო მუშაობას რუსეთის დემოკრატიასთან. ანარქიამ და კონტ-რევოლუციამ ეს ნამდვილი რუსეთის დემოკრატია შეკრა და შებოჭა იმ ხანაში და შესწყვიტა საერთო დემოკრატიული მუშაობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს იყო შედეგი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ვინც ასე ფიქრობს მე მგონი ის ვერ არჩევს შედეგს მიზეზისაგან და მიზეზს შედეგისაგან.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნამდვილი დემოკრატია ჩვენ დამოუკიდებლობას თანაგრძნობით უყურებს და კარგად იცის, რომ ჩვენი დამოუკიდელობა გახდა აუცილებელი პირობა ჩვენი თვით გამორკვევისა.

ეს დემოკრატია დარწმუნებულია, რომ თუ ეს თვითგამორკვევა ნორმალურ პირობებში მოხდება, ეს შექმნის ნიადაგს რომ კვლავ აღდგეს საერთო დემოკრატიული ფრონტი.

ჩვენ მხოლოდ მივმართავთ დღეს ამ დემოკრატიას ერთის დავალებით; ჩვენ ვეტყვით მას, რომ საქართველოზე დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ტყუილს და ცილისწამებას ავრცელებენ. და ჩვენ მოგმართავთ თქვენ: თქვენ უნდა ხმა აღიმაღლოთ, ასეთ უსამართლობის წინაშე, და დაჰგმოთ ასეთი საქციელი კაცობრიობის წინაშე.

ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებად გვიცნობს ის, ვის ხელშიაც არის დღეს ქვეყნის ბედ-იღბალი. მართლაც, ჩვენ სხვა სახელმწიფოები თანაგრძნობით გვიყურებენ, და ამის საბუთი ისიც არის, რომ აი აქ ბრძანდებიან წარმომადგენლები სხვა სახელმწიფოებისა. (საბჭო ოვაციით ხვდება ფონ-კრესს და საერთოდ უცხოელების წარმომადგენლებს).

ჩვენ ახლო ხანში შემთხვევა გვქონდა შევხვედროდით და დაგვემტკიცებინა ერთი უკულტურეს ევროპის ხალხისთვის, რომ ჩვენ ვიცით ფასი თავისუფლებისა, ვიცით ფასი კანონიერებისა, ვიცით ფასი დისციპლინისა და ვგაქვს უნარი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა. (სპ. კედა: მართალია!)

ეხლა ჩვენ შემთხვევა გვეძლევა შევხვდეთ პირისპირ სხვა განათლებულ ხალხის წარმომადგენლებსაც. და ჩვენ ამ შეხვედრისა, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, არც გვრცხვენიან და არც გვეშინიან (ხანგრძლივი ტაში).

არ გვრცხვენიან მისთვის, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს დღეს უდიდესი სახელმწიფოებრივი გარანტიები, რომლის აკვნად იყო საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის დიდი დემოკრატია.

არ გვრცხვენიან მისთვის, რომ ჩვენ შეძლების და გვარად ცხოვრებაში ვატარებთ სოციალურ რეფორმებს ხალხის სასარგებლოდ.

მართალია ჩვენ ღარიბნი ვართ ნივთიერად, მაგრამ არ ვართ ღარიბნი სულიერად (ხანგრძლივი ტაში) და ძალიან მდიდარნი ვართ ჩვენი ქვეყნის ბუნებით. და ვინც აქ მოვა იმ მიზნით, რომ ეს სიმდიდრე გამოიყენოს თავის გამოცდილებით, ცოდნით და უნარით, გვასარგებლოს ჩვენ და თვითონაც ისარგებლოს—ჩვენ მათ ვეტყვით—„კეთილ იყოს თქვენი აქ მოსვლა!“

მხოლოდ ვინც მოინდომებს იმას, რომ ჩვენ გაგვაღატაკოს და ხელი აგვაღებინოს ჩვენ განძზე, ჩვენ ამათ ვეტყვით: ხელი შორს!“ (ტაში).

არც გვეშინიან ჩვენ, რადგანაც საფრანგეთ-ინგლისმა, ამერიკამ და სხვა განათლებულ სახელწიფოებმა უკვე აღიარეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს განათლებული ხალხი—არც გადაუხვევს ამ პრინციპს და ვერც გადუხვევს.

ჩვენ არ გვეშინიან, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოს საშუალება მიეცემა წარდგეს საერთო სამშვიდობო კონგრესზე და მთელ კაცობრიობას აუწყოს თავისი ავი და კარგი.

და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვეშინიან, რადგანაც დასავლეთ ევროპის დემოკრატია დაიძვრება ადგილიდან და გასწევს იმ ადგილისაკენ, სადაც არ იქნება არც ერთა შუღლი და არც კლასობრივი ბრძოლა. ჩვენ ამ დემოკრატიას გავუყვებით ფეხდაფეხ და ერთ ნაბიჯითაც არ ჩამოვეცლებით. მაშ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს (მჭუხარე ტაში). გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას (ხანგრძლივი ტაში).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს (კრება ფეხზე სდგება და ეგებება მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო ამ 100 წლის წინად საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე. ამ ექვსი თვის წინად იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა (ვლასა მგელაძე—გაუმარჯოს ამ დამოუკიდებლობას).

ასეთი ორი ერთი-მეორეს მოპირდაპირე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე აქტი არის დროს აქტი ჩვენ ცხოვრების ძირითადი პრობლემისა. ამ ორი აქტის შორის არის ერთი დიდი რამე საერთო,—ის, რომ ორივე აქტი იყო გამოწვეული ერთი და იგივე მიზეზით და ამ ორ აქტმა მიაღწია ერთი და იგივე შედეგს. ამ ორ აქტის საერთო მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ საქართველოს ხალხს თავი დაეხსნა აზიურ ბარბაროსებისაგან და შედეგი ორივე აქტისა იყო ის, რომ საქართველო ამ ორი აქტმა იხსნა იმ აზიურ ბარბაროსებისაგან და შეომსევისაგან. აქედან თქვენ ხედავთ რომ აქტი 26 მაისისა არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედადთ, აქტი მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის, ან პარტიის მიერ. არა, ბატონებო, ეს აქტი იყო ისტორიულ აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოხეთქილი. ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას, ამ აქტის საშუალებით საქართველოში არ შემოსულა შეიარაღებული ძალა ჩვენ საპტროდ. ამ აქტით შემოვიდა მართლა ჩვენში შეიარაღებული ძალა, მაგრამ შემოვიდა ჩვენდა საშველად, და იმედი გვაქვს და ვართ დარწმუნებული, რომ თუ კიდევ შემოვიდა შეიარაღებული ძალა ჩვენში, ძალა ევროპიული, ეს ევროპიული შეიარაღებული ძალა იქნება ჩვენ სამოყვროდ და სამეგობროდ. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სულის კვეთება და ლტოლვილება დაწყებული 11 საუკუნიდან იყო ის რომ, რამენაირად მოვშორებულიყავით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპიულ კულტურაში და ამიტომ ჩვენ არ გვქონია და არც გვექნება მტრული განწყობილება ევროპასთან და არც ევროპას ექნება ჩვენთან: თუ კი გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები ჩვენ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა, მით უფრო ჩვენ მოველით ასეთ მოპყრობას ახალ გერმანიისაგან, რომლის წარმომადგენელნი დღეს მოდიან ჩვენკენ და რომლებმაც უკვე გუშინ ფეხი დაადგეს ჩვენ ტერიტორიაზე ასე რომ ჩვენ არ გვმართებს ცრემლთა ფრქვევა და არც უიმედობა მხოლოდ ერთი პირობით:

ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენს ისტორიულ გზაზე და უნდა ვსთქვათ გადაჭრით და ხმა მაღლა, რომ არ გვინდა არც ქაოსი და არც პარბაროსობა, საიდანაც უნდა მოდიოდეს ის, მოდიოდეს იგი სამხრეთიდან თუ ჩრთილოეთიდან (ტაში). ჩვენ დღეს შეგვიძლიან შევიდეთ ევროპიულ ხალხთა ოჯახში პირდაპირ სრულიად უშუამავლოდ. დღეს ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და ჩვენ ჩვენის ნებით არ გადაუხვევთ (ტაში).

მაგრამ გვეტყვიან ეს თქვენი მშვენიერი სურვილია და სურვილებით არავინ შესულა სამოთხეში.

დიახ ეს ჩვენი სურვილია, მაგრამ არა სურვილი უნიადაგო, არა ისეთი, რომელსაც არა ჰქონდეს თავისი საპატიო საბუთები. თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ ჩვენი სურვილით ასეთი მსუბუქის ბარგით ვაპირებთ ხალხთა შორის თანასწორობის მოპოვებას,—ის უეჭველად შემცდარია.

არა, ჩვენ შეგვიძლიან თვით უსასტიკესი არეოპაგის წინაშეც წარვსდგეთ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ამ საბუთად ჩვენ გვაქვს 6 თვის ისტორია.

მოხდა ერთი დიდი ფაქტი. ის ფაქტი, რომელსაც ვერ უარჰყოფს ვერავინ.

ეს ფაქტი გახლავთ ის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია თებერვლისა მთელ რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე მოლოდ აქ საქართველოში განმტკიცდა, აქ შეისხა სისხლი და ხორცი.

თებერვლის მოპოებულმა თავისუფლებამ ააფორიაქა მთელი რუსეთი, ააფორიაქა ყველა ხალხი. იქ გამოიწვია განაწილება იმ გვარად, რომ ერთის მხრივ აამუშავა ანარქია და მეორე მხრივ აამუშავა რეაქცია.

მარტო აქ, საქართველოში ამ თავისუფლებამ იპოვა თავისი ღირსეული პატრონი და გონიერი მოყვარე. მან ვერ გააქანა ჩვენი ხალხი ვერც ანარქიისა და ვერც რეაქციისაკენ.

დემოკრატია მხოლოდ აქ იშვა და დაეპატრონა ქვეყანას.

ერთი წლის რევოლიუციის ქარტეხილმა აქ გამოსჭედა ხალხი თავისთავის პატრონი და თავისთავის მმართველი.

აქ მხოლოდ, აქ აღმოჩნდა დემოკრატია ისეთი ძლიერი, რომ არ გადასცდა თვის ისტორიულ გზას და არ აჰყვა არც ერი იმ გზებს, რომელნიც გამოჩნდნენ შემდეგ თვეებში, და რომელიც გამოიწვიეს რუსეთის აფორიაქება. თავისუფლება მხოლოდ ჩვენში არ აღმოჩნდა მტერი წესიერებისა. წესიერებამ მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ფესვები თავისუფლებისა. მოსპეთ ეს თავისუფლება და გაჩაღდება დიდი არეკ-დარევა, მოსპეთ წესრიგი და მოსპობა თავისუფლება. და საქართველოშიაც ამ ორ ელემენტების შედეგება თავისუფლების და მოქალაქობრივი წესრიგის, ამ ორი ელემენტის შედეგება ქმნის ჩვენს ხალხისგან პოლიტიკურ დემოკრატიას. და აი სწორედ ამ საბუთით ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ უკვე ხალხი ევროპიული და დემოკრატიული. (ტაში).

აქედან თქვენ ხედავთ და ეს უნდა დაინახოს ჩვენმა მტერმა და მოყვარემაც, რომ ჩვენ არა მარტო გვინდა ვიყვნეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლიან ვიყვნეთ დამოუკიდებელნი (ტაში).

ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ მივმართეთ ყოველივე ზომებს, რომ ამ ჩვენ დამოუკიდებლობას მისცემოდა შესაფერი იურიდიული და კონსტიტუციური ნორმები.

ჩვენი პარლამენტი, ჩვენი მთავრობა, ჩვენი უწყებანი ამ საქმიან მუშაობაში არიან. თქვენ იცით, რომ 6 თვის წინად ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სახელმწიფოს შენება თითქმის ცარიელ ადგილიდან.

წინად იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა რევოლიუციისთვის. არ იყო დრო, რომ ჩვენ აქ გვემუშავნა აღმშენებლობის საქმეზე.

ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ შევუდექით მოპოებულ თავისუფლების კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოყალიბებასა. ჩვენ ამ 6 თვის განმავლობაში მოვაწყეთ აპარატი ადმინისტრატიული, შემოვიღეთ ერობა, მოვახდინეთ აგრარული რეფორმა და რაც უფრო საყურადღებოა, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს ჰქონოდა საკმარისი ქონება, რომ შეეძლოს ფართე სახელმწიფოებრივი მეურნეობა დაიწყოს. და უნდა ვსთქვა, ამ მხრივ ჩვენი პატარა რესპუბლიკა შეადგენს დიდ დამონაკლისს. არა მგონია, რომ როველიმე არამც თუ პატარა, არამედ დიდ რესპუბლიკას ჰქონდეს იმდენი უძრავი ქონება, რამდენიც დღეს ჩვენს რესპუბლიკას აქვს, ჩვენ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 დეკემბერი
სახალხო გვარდიის დღეა

სახალხო გვარდიის მთავარი ხელმძღვანელები

ვ. ჯუღელი.

გენ.-მ. კოტიაშვილი.

ვაწყეთ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჯარი, საბაუღლები შევიმუშავეთ ახალი გადასახადების სისტემა, საუკეთესო მიმოსვლა, გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფი თითქმის ორჯელ და მრავალ მაზრებსა და სოფელში გავიყვანეთ ტელეფონები. გარდა ამისა ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ ხალხი დაგვეკავშირებინა სწავლა-განათლებასთან, მის სამშობლო ენაზ. გავამრავლეთ სახალხო სკოლები იქ, სადაც არ იყო. შევქმენით პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ ყოველნაირი ზომები, რომ ჩვენი სახელმწიფო მართლა დამსგავსებოდა სახელმწიფოს და არავის არ ეთქვა ჩვენთვის თქვენ ერთ ადგილას იდექითო.

ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სამართლის შექმნას გასაგებ ენაზე, მოვახდინეთ სასამართლოს სრული რეორგანიზაცია.

აი მოკლედ ის, რასაც ვაკეთებდით ამ 6 თვის განმავლობაში, რის შესახებაც უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის დამფუძნებელკრებას, — რომელიც იქნება საქართველოში ამ ახლო ხანში მოწვეული.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო აგრეთვე ერთ გარემოებას. ჩვენ აქ მოგვიხდა მუშაობა არა მარტო საქართველოს მაგიერ, არა მარტო საქართველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, არამედ ჩვენ თვით რუსეთის მაგიერ მოგვიხდა მუშაობა

ჩვენი მტრები ავრცელებენ ხმებს, ეს იბეჭდება არა აქ, არამედ იქ სადაც მაინცა და მაინც ჩვენს ოჯახებზე არა იციან რა, რომ ჩვენ აღვმართეთ ერთნაირი დეენა რუსების, განსაკუთრებით რუსების ოფიცრების წინააღმდეგ. ეს საბუთი არის მთავარი საბუთი ჩვენი მტრების ხელში. ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ საქართველოდან დიდად ღირსეულად გავაცილეთ რუსეთი და მისი აქ მყოფი წარმომადგენელები.

აქ გვაქვს ციფრები, რომლის წინაშეც უნდა დადუმდნენ ყველა ორგულნი და ცილის მწამებელნი.

26 მაისიდან 20 ნოემბრამდის ჩვენ დავხარჯეთ რუსეთის მაგივრად შემდეგი თანხები: ჩვენ მოვახდინეთ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებული დაწესებულებების ლიკვიდაცია. ტფილისის ხაზინიდან ამისთვის გავიღეთ 21 მილიონი 22 ათასი მანეთი, საველე ხაზინიდან 9 მილიონი 791 ათასი, სენაკის ხაზინიდან გავიდა 1 მილიონი, ფოთის ხაზინიდან გავიდა 736 ათასი მ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქიდან 512 ათასი მანეთი. გარდა ამისა მიმდინარე ანგარიშებიდან გავიდა 1 მილიონი 436 ათასი მანეთი, რკინის გზიდან გავიდა 1 მილიონი 20 ათასი მან. სულ ამნაირად ჩვენ ამ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებულ სხვა და სხვა დაწესებულებების ლიკვიდაციას მოვახმარეთ 26 მაისიდან 20 ნოემბრამდის 35 მილიონი 516 ათასი მანეთი. ამის გარდა, ჩვენ მივეცით ოჯახებს, სამხედრო 1 მილიონი 32 ათასი. ჩვენ მივეცით ძველი მთავრობის პენსიონერებს 1 მილიონი 323 ათასი მანეთი.

ახლა ჩვენ გადავდივართ მეორე საქმეზე და უნდა ვთქვათ, რომ რაც ჩვენ აქ ვქენით არც ერთ კუთხეს რუსეთისას არ უქნია ასე.

თქვენ კარგად იცით აუარებელი ფული იყო დაგროვილი შემნახველ კასებში და ბანკებში. უნდა ვსთქვათ, რომ ეს სუყველა წაღებული იყო პეტროგრადში; იქ დაიხარჯა ომის საჭიროებისათვის.

აგრეთვე ბანკებში შენახული ფული იყო წაღებული მოიჯარადრეთათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან.

ეს ფულიც დაიხარჯა. და აი ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ ეს შემნახველი კასები, ეს ბანკები. ჩვენ ვიკისრეთ და მივეცით ამ შემნახველ კასებს 10 მილიონი მან. კერძო ბანკებს — 28 მილიონი აგრეთვე ჩვენ მივეცით სახელდახელო ანგარიშების გასასწორებლად ბანკს და სახელმწიფო ხაზინას 23 მილიონი. ერთი სიტყვით რუსეთის მაგიერ დავხარჯეთ 6 თვეში 98 მილიონი 244 ათასი მან.

აი ბატონებო, ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ აქ ვინმე გავდევნეთ ვისმეს უდიერად მოვექეცით და აქედან ჩვენი დამოუკიდებლობა ვიხმარეთ სხვის სამტროდ.

აი ბატონებო, ეს ციფრები აშკარად ღაღადებენ იმას, რომ ჩვენ თვითონ ღარობმა ერმა და ასე ვსთქვათ მჭლე ხაზინამ მიუხედავად თვის სიღარიბისა 98 მილიონი მანეთი გადავდეთ სხვის საჭიროებისათვის.

და თუ მაინც ჩვენ ცილს გვწამებენ და თუ მაინც სწერენ და ამბობენ, რომ ჩვენ აქედან ვერეკებით, გვერეკეთ ძალით ვინმეო, — ამის მიზეზი სულ სხვაა. ეს გამომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდებლობისადმი მათ ალაპარაკებთ შოვინისტური და რეაქციონური სულისკვეთება მაგრამ აქ ვიტყვით: ხელი შორს, აქ კი ნურას უკაცრავად! (ტაში). მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. გედევანიშვილი.
მათუმის პარტიზანულ რაზმის უფროსი, გენერალ-მაიორი

ლოდ აქ ჩვენ საქართველოში შევძელით შეგვექმნა ერთნაირი პოლიტიკური თანასწორობა, თავისუფალი და წესიერი მართვა გამგეობა, მხოლოდ დაუძინებელ ერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა შეუძლიან გვითხრას აიღეთ ხელი და გადაეშვით შორს, იქ გამოუცნობ ქაოსში და იქ რაღაც რეაქციის მხარეში. ჩვენ ამას არ ვიზამთ და ჩვენ ამას ვერც ვიზამთ.

ჩვენ გვსურს უეჭველად ჩვენებური წესწყობილება იყოს, როგორც რუსეთში, ისე მოსაზღვრე მეზობელ ერებში. ჩვენ მოხარული ვიქნებით რუსეთის, ნამდვილ რუსეთის აღდგენისა. ჩვენ მოხარული ვიქნებით, რომ ჩვენ ირგვლივ მყოფი მოძმე რესპუბლიკები და ერები იყვნენ უკეთ პირობებში და შექმნან ისეთი წესწყობილება, როგორიც არის აქ ჩვენში. მერე ეს განა მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენი დამოუკლებლობა მოვკლათ? არა! დემოკრატიული წესწყობილება არსად არ მოითხოვს, რომ მეორე სახელმწიფოს დემოკრატია დაჩაგროს, ვინც ასე ფიქრობ ის არ არის დემოკრატი. იმას არაფერი არა აქვს საერთო დემოკრატიასთან. ის, უეჭველია სხვა მიზეზებით სხვა სურვილებით არის გატაცებული. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ამ სურვილების წინააღმდეგ მივიღებთ ყოველნაირ საშუალებას, რომ ეს სურვილები დარჩნენ მათში მხოლოდ და მხოლოდ სურვილებად, ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი, მხოლოდ მათგან ჩვენ მოვითხოვთ ერთ პირობას: როგორც ჩვენ ვცნობთ, მათ სახელმწიფოდ, ისე მათ სახელმწიფო ჩვენი უნდა იცნონ სახელმწიფოდ და უნდა გამართონ მოლაპარაკება ჩვენთან და ჩვენ მათთან, როგორც თასწორთან.

რაც ჩვენ გვსურს ჩვენთვის, ის გვსურს სხვებისთვის.

აი ამ მოკლე მცნებით არის გამსჭვალული ჩვენი საგარეო პოლიტიკა. ვერავის შეუძლიან და ვერც დაგვწამებს რომ ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიაა ამოძრავდა როგელიმე დამოუკიდებელ რესპუბლიკის და ან როგელიმე ერის წინააღმდეგ.

მხოლოდ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში. საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, თუ ჩვენ შიგნით და გარეთ ამ ნიადაგზე მტკიცედ ვიქნებით.

გისურვებთ თქვენ და ჩვენ შეგვიძლიან უსურვოთ ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გადაიქცეს მუდმივ დღესასწაულად.

ეს აქტი არის აქტი გამარჯვებისა საქართველოს დემოკრატიისა და მისი თავისუფლებისა! (მეუხარე ტაში).

თავმჯდომარე. ამით ვათავებთ, დღეს ჩვენს დღესასწაულს და კრებას ვხურავ. (ტაში ოვაციები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გვარდიელებს.

როდესაც მტრებს ჩვენს მხარეზე ყოველ მხრიდან მოზღვავებულთ,
წუთიერი გამარჯვებით თავბრუ დასხმულთ, დაბრმავებულთ,
სურდათ ჩვენი აოხრება, სურდათ ჩვენი მთლად აკლება.
სურდათ ფეხით გაეჯიჯგნათ ხალხის ნება და უფლება:
როცა დროშა გამარჯვების ეცემოდა, იხრებოდა,
როდესაც შინ უგნურთ ხელით ძმათა სისხლი იღვრებოდა,
როს არყოფნას გვიქადდა ულმობელი ბედის წერა.—
—მაშინ აღსდგა ჩაგრულთ მხარე, მაშინ აღსდგა ტანჯულთ კერა;
ბრძოლის ცეცხლში გამომწყვარნი თვისი გმირნი სწრაფელ დარაზმა,
ხელში მისცა ძლევის დროშა, ხსნის იმედით მოუკაზმა,
და წარგზავნა ბრძოლის ველათ... და, ჰა, აღზსდგენ ლომგულები,
დაჰკრეს ბუკი და ნალარა, მოიმარჯვეს თოფი, ხმლები,
უწყეს მუსვრა მუხანათ მტრებს გააფთრებით, თავგანწირვით,
მთლად ქვეყანა გააკვირეს აურაკხელ მსხვერპლთ შეწირვით.
და დღეს თუ აქ არ ირყევა ახალ ყოფნის საძირკლები,
დე, იცოდეთ! მას ამაგრებს გმირთა სისხლი, გმირთა ძვლები!!
და დღესაც ხომ მხნეთ იცავენ უზენაეს ხალხის ნებას,
გწამდეთ ორივის შეარჩენენ მის შებილწვა, შეგინებას.
თუმცა დღემდე ბრძოლის ველზე გმირნი იყვნენ მარტო, ობლად,
თუმც არავინ არა ჰყავდათ ჭირში მხარის შემამკობლად
მაგრამ დღეს ხომ ირაზმება, საქართველოს ნორჩი ჯარი,
ისინიც მას ხელ, უწვდიან!... მაშ, ხელი ხელს, და მხარს მხარი!

ი. ხიხარულიძე.

სალამი.

სალამი ტურფა სამშობლოს,
სალამი ერთგულ მხედრებსა;
სალამი ბედკრულ და მაშვრალს,
ჩვენი ერთობის მცველებსა...
სალამი ცოდნა, შეგნებას,
სალამი ჩვენსა კავშირსა;
სალამი ტრფობის ეშმლემას,
დროშას, სიამით გაშლილსა...
სალამი ჯარს და გვარდიას,
წინსვლის სურვილით ანთებულს;
სალამი ერის განთიადს,
სამშობლოს გაჩირაღდნებულს.
სალამი მშობლურ ტყე-ველს,
სალამი დროს სასახელოს;
სალამი კეთილის მთესველს,
სალამი ჩვენს საქართველოს!

დ. მეჩონგურე.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში.

(დასასრული)

თუ-კი მაღალკულტურასან ქვეყნების ჯარში ცდილობენ გონებრივ განვითარებისთვის და პატრიოტული გრძნობის აღზრდისთვის, მით უმეტეს ეს საჭიროა იმ სახელმწიფოებში, სადაც საუკუნოებით ჰყავდათ ხალხი სიბნელეში დაკავებული. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ჯარს საესებით გარკვეული დანიშნულება აქვს და ეხლანდელი სამსახურის ვადის მიხედვით არ შეიძლება შორს გავყვეთ იმ იდეას, რომ ჯარი გადავაქციოთ წერა-კითხვის სახალხო სკოლად ან სხვაგვარ სასწავლებლად. განმანათლებელ-აღმზრდელობით მუშაობას არ შეიძლება ვუწილადოთ ის დრო, რომელიც დანიშნულია ჯარის მწყობისა და საომარი მომზადებისათვის, ჯარის სამწყობრო მეცადინეობის ინტენსიური წარმოებით შეიძლება გადაანარჩუნო ყოველდღე ზედმეტი საა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო სამსახური თუმცა კი არის სამოქალაქო მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მაგრამ ის მაინც ბეკარა არის ანუ აუცილებელი მსხვერპლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მასთან მსხვერპლი მეტად საგრძნობელი პირადი თუ ოჯახური ინტერესებისათვის თვითეულ მოქალაქისა, რომელსაც იწვევენ სამხედრო სამსახურში და ამით აკილებენ თავის საქმეს.

სახელმწიფოც დიდ მატერიალურ ზარალს განიცდის ამის გამო, რადგან ჯარში გაწვეულები აღარ ჰქმნიან რაიმე ღირებულებას და თანაც სახელმწიფო ხაზინა დიდ ხარჯს იღებს ჯარის შენახვისათვის, მაგრამ ეს მსხვერპლი აუცილებელია მთელი ერის მაღალი სიკეთისთვის: დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და ხალხის თავისუფლების დასაცავად. სკოლების შენახვა ჯდება გაცილებით ნაკლები ვიდრე ჯარისა, და ამისათვის უკანასკნელი უნდა ეწეოდეს სკოლების მაგიერობას ხალხისთვის სხვათა შორის რამდენადაც ეს არ შეუშლის ხელს სამსახურის მთავარ დანიშნულებას — იყვეს ბურჯად დამოუკიდებლობისა და ხალხის თავისუფლებისა.

თუ კი ეს შთაგონებული აქვს უბრალო ჯარის-კაცს, თუ კი ამ ოცნებით არის გაჟღენთილი ოფიცრობა, რაც უნდა ძნელი იყვეს სამხედრო სამსახურის მოვალეობათა აღსრულება ამ მოკლე სამსახურის ვადაში, ყოველთვის მოხერხდება დროის შვნა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისათვის, რაც აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის და უწინარეს ყოვლისა თვით ჯარის კაცისათვის.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში, თუ სახეში მივიღებთ უბრალო მასის კულტურულს დონეს, არ შეიძლება განვსაზღვროთ მარტოოდენ ზემო-მოყვანილ სამხედრო და საერთო განმანათლებელი ცოდნის შეთვისებით. ამასთანავე შეიძლება ჯარის კაცს გაუზიაროთ კულტურის სხვა სიკეთენიც. ჯარში მან უნდა შეისწავლოს ჰიგიენის წესები და სანიტარული მოთხოვნილებანი. მისი აღზრდა უნა იყოს მიმართული ფიზიკური ძალის გამაგრებისა და განვითარებისაკენ, რასაც მივაღწევთ გონიერ გიმნასტიური ვარჯიშობით და სხვა და სხვანაირი სპორტით, ადგილობრივი გარემოებათა და ზნე ჩვეულებათა მიხედვით. მასში უნდა განვითარდეს ესთეტიური გრძნობა, რაც დამახასიათებელია ყველა კულტურული ხალხისა. მუსიკა სიმღერა, მხატვრული ნაწარმოებები, წარმოდგენები, კინემატოგრაფი, რომლებიც ახვევენ მაღალ სულიერ სიამოვნებას და აკეთილშობილებენ უბრალო ხალხს.

დაბოლოს ჯარს, როგორც სკოლას, სხვათა შორის, შეუძლია მისცეს ჯარის-კაცს ბევრი სასარგებლო სამეურნეო ხასიათის ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯარის კაცის ნივთიერ კეთილდღეობას სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ. ვინაიდან სახელმწიფოს შემოსავალს მესამედს ნოქავს ჯარი, მას აქვს საკუთარი მეურნეობა, რომელიც იქნება დაყენებული სამაგალითოდ და ამისათვის ჯარის-კაცს ბევრი რამე ექნება ჭკუის სასწავლო ჯარში. მისი სახელოსნოებში, ქარხნებში, არსენალებში, წისქვილებში, საწყობებში, ბაღებში, სათიბებში, და სხვაგან. სამხედრო სამსახურის მოვალეები იქნებიან სხვა და სხვა მოვალეობის ამსრულებელნი და ბევრი გაეცნობიან გაუმჯობესებული საშვალებებით სოფლის მეურნეობის წარმოებას და სახელოსნოებში მუშაობას, ვინეშ ეს არის დღეს სოფლად, საერთო სამხედრო ბეგარის დროს, როცა ჯარში იმსახურებენ ბაგარიმები, ტეხნიკები, ინჟინრები. ყველა სპეციალობის კვალიფიციური მუშები და სხვები, ჯარის განკარგულებაში იქნება მაშინ მშვენიერი ხელმძღვანელები და მასწავლებლები ჯარის-კაცისთვის სხვა და სხვა ხელობის და სასოფლო მეურნეობის საქმეთა გასაცნობათ. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ კულტურული ძალის გამოყენება ჯარში არა კულტურული ჯარის-კაცთა სასარგებლოდ.

თავისთავად ცხადია, საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებასთან ერთად წერა-კითხვის უცოდინარი ჯარის-კაცებმაც უნდა ისწავლონ წერა-კითხვა. წერე კითხვის სკოლები უნდა გაიხსნას ყველა როტებში, ესკადრონებში და ბატარეებში. სწავლება ამათში უნდა სწარმოებდეს ყოველდღე საღამოობით და არა ნაკლებ სამჯერ კვირაში. თუ კი დანარჩენ კულტურულ — განმანათლებელი მუშაობისათვის დანიშნავთ დღეში თითო საათს, მაშინ ერთობ ამ მუშაობისთვის იქნება გადადებული ორ-ორი საათი დღეში, უქმეებს გარდა.

აქ უნდა ითქვას რამოდენიმე სიტყვა პოლიტიკური აღზრდის შესახებ ჯარში. გამოვდივართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იმ მდგომარეობიდან, რომ ჯარში ყოფნის დროს ჯარის კაცი იხდის განსაზღვრულ ბეგარას და რომ რესპუბლიკის დემოკრატიული მთავრობა გამოხატავს ხალხის ნების ყოფას, თავისთავად ცხადია, რომ ჯარი ემსახურება მხოლოდ თავის ხალხს და არა უნებურად თავზე მოხვეულ მთავრობას და ძალაუფლების ხელში ჩამგდებ ძალდატანების გზით. ვინაიდან ჯარის კაცნი იმავე ხალხის წრიდან გამოდიან რომლიდანაც—მინისტრები, ჯარს დარჩენია მხოლოდ დაემორჩილოს მთავრობას და შეასრულოს კანონები, რომლებსაც სანქციია თვით ხალხისაგან აქვს გაკეთებული საქართველოს პარლამენტში – მათი წარმომადგენლების სახით. სწორედ ეს არის ეგრედ წოდებული სამხედრო დისციპლინა. უფროსების ბრძანებათა შესრულება თავის მხრით არის იმავე მთავრობის ბრძანების შესრულება, რადგანაც მთავრობა ირჩევს და ნიშნავს ამ უფროსებს და პასუხს აგებს ხალხის წინაშე ამ არჩევისა და დანიშვნისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ჯარი ყოველთვის ერთგული იქნება თავისი ხალხისა. ამის დამამტკიცებელი მაგალითები არიან დემოკრატიული სახელმწიფოები: საფრანგეთი, შვეიცარია და ამერიკა. ასეთს პირობებში, მე ვფიქრობ, ჯარი უნდა იდგეს პარტიულის და პოლიტიკურის დავის გარეშე, ე, ი. აქტიურ პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჯარში. ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს აუცილებელის ერთ სულოვნობის მაგიერ უთანხმოება, როგორც თვითეული ჯარის კაცთა შორის, აგრეთვე ჯგუფთა და მთელი ჯარის ნაწილთა შორის. ხანდახან, როგორც მაგალითად. არჩევნების დროს, შეიძლება ამან გამოიწვიოს ერთმანეთში შეტაკება და, საზოგადოთ, ეს ეწინააღმდეგება სამხედრო დისციპლინას, რომელზედაც ემყარება ჯარის ძლიერება. ამისათვის უკეთესია 2 წლის განმავლობაში სამხედრო ბეგარის მოხდის დროს ჯარის კაცმა უარი თქვას ზოგიერთ მოქალაქეობრივს უფლებაზე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ჯარის კაცმა არ მიიღოს სათანადო პოლიტიკური აღზრდა. პირ იქით, ჯარი ამ მხრით უნდა ეხმარებოდეს მოქალაქე ჯარის კაცს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სრულებით გათვითცნობიერებული არ არის პოლიტიკურს კითხვებში. მას უნდა აუხსნან, მაგალითად, რა მიზანს ისახავდენ მოწინააღმდეგე ჯგუფები ამ ელახან დასრულებულ მსოფლიო ომში: რას მიაღწიეს პოლიტიკურმა პარტიებმა ამ უკანასკნელ ხანებში ფართე მასის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; რა სწადიათ მით მომავალში. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს აკადემიურად, არ უნდა ჰქონდეს პარტიული აგიტაციის ხასიათი და არ უნდა იყვეს მიმართული სახელმწიფოში მომქმედ სხვა ლეგალი პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ პოლიტიკურის რწმენის მიხედვით მუშაობენ საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ; ჯარის კაცმა აგრეთვე უნდა გაიცნოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმდინარეობა, რომელზედაც, ემყარება ქვეყნის კულტურული განვითარება; პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხასიათის თემებზე საუბარი და მოხსენება ფრიად საჭიროა, გარეშე ამისა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია გაზეთებისა, ჟურნალებსა ბროშურებისა და სხვა პოპულიარულ გამოცემების კითხვას. მაშასადამე ყოველ როტაში, ესკადრონში, ბატერიაში უნდა მოეწყოს სამკითხველოები, ჯარის ნაწილებში – ბიბლიოთეკები ცოდნით გადარჩეული ლიტერატურული გამოცემებისა. ოფიცრებისა და კულტურულ- განმანათლებელი მუშაობის ხელმძღვანელთათვის ბიბლიოთეკა უნდა იქნეს შევსებული საუკეთესო გამოცემებით ლიტერათურის ყველა დარგიდან.

ზემო ნათქვამის გათვალისწინებიდან ჩვენ დავინახავთ, რომ ქართულ ჯარში კულტურულ განმანათლებელი მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1) წერა-კითხვის სკოლების გახსნა ყველა როტებში, ესკადრონებში და ბატარიებში,

2) სამკითხველოების და ბიბლიოთეკების გახსნა წერაკითხვის მცოდნეთათვის.

3) საუბარი ჯარის კაცებთან საერთო სამხედრო განვითარებისათვის საკირო საგნებზე, გეოგრაფიაზე, ისტორიაზე, სამშობლოზე, პოლიტიკურს, სოციალურს და საზოგადოებრივ კითხვებზე, ჯანმრთელობაზე და სხვ.

4) მოხსენებები და ლექციები ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრებისათვის.

5) გაცნობა სოფლის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებული საშუალებებით და სხვადასხვა ხელობისა და დათვალიერება სხვადასხვა სახაზინო თუ კერძო მეურნეობისა და სახელოსნოებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) ფიზიკური აღზრდა გიმნასტიკისა, სპორტისა, ჯირითისა და ექსკურსიების საშვალებით განმანათლებელს მიზნებთან დაკავშირებით, როგორიც მაგალითად, ექსკურსიის დროს ადგილ მდებარეობის შესწავლა, ტაქტიკური კითხვების გადაწყვეტა და სხვა.

7) ჯარის-კაცებში ესთეტიური გრძნობის განვითარება გალობისა, მუსიკისა წარმოდგენებისა, კინემატოგრაფებისა თუ სხვათა საშვალებით.

8) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისთვის ისეთი მიმართულების მიცემა რომელიც განავითარბს პატრიოტულ გრძნობას და გაამაგრებს სამხედრო დისციპლინის შეგნებას ზემოხსენებულ მოთხოვნილებათა განსახორციელებლად. ჩემის აზრით სასურველია ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის სათავეში იდგეს განსაკუთრებული კოლეგია გენერალურ შტაბთან, რომელშიც უნდა იქნეს მოწვეული ჯარის კაცთა აღზრდაში უფრო გამოცდილი უმაღლესი სამწყობრო უფროსები. კოლეგიას უნდა დაეკისროს პროგრამის გამომუშავება ამ საქმის წარმოებისათვის ჯარის ნაწილებში და დაწვრილებითი დარიგება, თუ როგორ უნდა იქნეს წარმოებული ეს მუშაობა შეთანხმებით სამწყობრო მეცადინეობასთან და სადარაჯო სამსმხურთან. ამ კოლეგიის წესებს უნდა დაეკისროს ხელმძღვანელობა და თვალის დევნა ჯარის ნაწილებში კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობაზე. მეორე მხრით დაეკისროს სამსახურის ვალად ყველა მეუფროსე ხარისხოსნებას, როტის უფროსიდგან დაწყებული სწორედ იხელმძღვანელონ კოლეგიის განკარგულებით და განუწყვეტლივ აწარმოონ განმანათლებლ აღმზრდელობითი მუშაობა თავის ნაწილებში. დავიზიებში, ცალკე ბრიგადებში და თანაც ყოველ პოლკებში უნდა მოეწყო ცალკე კოლეგიები არა მარტო თვალის დევნისთვის, თუ როგორ წარმოებს ამ მხრით მუშაობა, არამედ იმისთვისაც, რომ მიიღოს თვითონ მონაწილეობა ამ მუშაობაში. კოლეგიაში უნდა იღებდენ მონაწილეობას არა მარტო სამწყობრო უფროსები, არამედ სათანადო დარგის სპეციალისტებიც: სამხედრო ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და სხვები.

საინსპექტორო დათვალიერების პერიოდში ინსპექციის გამკეთებელი უფროსები ვალდებულნი არიან კარგად დაათვალიერონ საქმის დაყენება და მიღწეული შედეგები კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობისა მის უწყებაში მყოფს ნაწილებში და რასაც შეამჩნევენ საიმისოს დაწვრილებით გამოაცხადონ თავის ბრძანებებში, რომლებსაც უმაღლესი კოლეგია გენერალურ შტაბთან და მთაერობის მთავარი ხელმძღვანელი გულდასმით თვალ ყურს უნდა ადევნებდენ.

მხოლოდ ასეთი დაწვრილებითი კანტროლის დროს კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა არ გადაიქცევა შაბლონად, რაც ხშირად ხდებოდა რუსეთის ჯარის ნაწილებში, და გამოიღებს სათანადო ნაყოფს ჯარისა და სამშობლოს საკეთილდღეოთ.

გ. ბ.

ქრონიკა.

12 დეკემბერს საქართველოს დემოკრატია სახალხო გვარდიის შედგენილყოფიდან ერთი წლის შესრულებას იდღესასწაულებს.

—

მესამე ნუმერს ჩვენი ჟურნალისა განახლებული რედაქცია გამოსცემს.

—

მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ლ. რუხაძისაგან ბორჯომიდან 3 დეკემბრის თარაღით შემდეგი დეპეშა მივიღეთ: დღეს ჩვენი ჯარი შევიდა ახალციხეში. გადმოხვეწილ მესხ—ჯავახელთა აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ოსმალთა „პიკეტები“ 1877 წლის საზღვრებისაკენ იხევენ. მაჰმადიანთა ღარიბა მასსა სიხარულით ხვდება რესპუბლიკის ჯარების წინსვლას. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ვიმედოვნებთ, რომ სამუდამოთ ბოლო მოეღება დაბეჩავებულ ხალხის ტანჯვას და არასოდეს არ დაბრუნდება ბეგების მართველობა. ასეთივე მდგომარეობაა ჯავახეთში. ხვალ ოსმალნი ახალქალაქს დასტოვებენ და არტაანის საზღვრისაკენ წავლენ.

—

ჯარის-კაცის დღე ქუთაისში.

27 ნოემბერს ქუთაისში „ჯარის კაცის დღე“ გაიმართა. ამ დღისთვის გამოიცა სპეციალური გაზეთი „ჯარისკაცი“, ყველა მიმართულების მწერლების

მონაწილეობით. ყულაბებით აგროვებდენ ფულს და სხ. ამავე დღეს გაიმართა ჯარის დიდი პარადი. მთელი ქუთაისის გარნიზონი მწყობრათ გამოემართა ტაძრისკენ, სადაც გენერალმა ართმელაძემ მიიღო პარადი და შემდეგ მხურვალე სიტყვით მიმართა ჯარს. მან აღნიშნა ჯარის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისთვის და მოუწოდა მას ერთგულათ ემსახუროს მთავრობასა.

პარადს ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრენ, სხვათა შორის გუბერნიის კომისარის მოადგილე ლ. გრიგოლია, ერობის თავმჯდომარის ამხანაგი გრ სოღორაშვილი და სხვ.

მთელი შემოსავალი, რომელიც ჯერ გამოურკვეველია, გადაიდება ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის მოსაწყობათ. ქუთაისში ამრიგათ ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ჯარის განათლების საქმეს. აქ უკვე არსებობს ორგანიზაცია რომელიც უხელმძღვანელებს მას.

ამ მეტათ სიმპატიურ საქმის სულის ჩამდგმელი სამხედრო ინსტრუქტორი ტ. ართმელაძე ამ დღეებში გაემგზავრება ფოთს, სადაც აგრეთვე განზრახული აქვს ჯარში კულტურულ მუშაობის მოწესრიგება. საჭიროა ფოთის მოწინავე საზოგადოებამ და განსაკუთრებით მუშებმა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა ამ საქმეში, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება პატივცემულ პოლკოვნიკს და ჯარის აღზრდაში თავისი წვლილი შეტანონ. სასურველია ფოთშიაც დაარსდეს ისეთივე ორგანიზაცია, როგორც ქუთაისში.

—

ბალშევიკურ წყაროდან მიღებული ცნობებით არმავირის მიმართულებით ბალშევიკთა ჯარებმა დაიკავა სადგურ კონსტანტინოვსკაია და დაატყვევა მოხალისეთა არმიის კორპუსის შტაბი.

—

ინგლისური პრესის ცნობით ბერლინში შეთქმულობა აღმოაჩინეს, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული მონარქიული წყობილების აღდგენა და ვალჰელმის დაბრუნება. შეთქმულობის სათავეში ყოფილა ცნობილი გენერალი მაკენზენი. თბილისში არსებული გერმანიის დელეგაცია ამ ცნობას უარჰყოფს.

—

მომავალ კვირაში ლონდონში შესდგება შეთანხმების სახელმწიფოთა კონფერენცია საბოლოო ზავის პირობების განსახილველად.

—

საერთაშორისო საზავო კონგრესი შესდგება ქ. ვერსალში (საფრანგეთში) 1919 წლის იანვარში; გაგრძელდება სამს თვეს. ზავზე ხელის მოწერა მოხდება აპრილში.

—

ს ო ფ ი.

სოკის საზოგადოებამ ხელმეორედ დაადასტურა თავისი ძველი გადაწყვეტილება დროებით, ვიდრე თავისუფალი რუსეთი შეიქმნებოდეს — საქართველოს რესპუბლიკას შეუერთდეს.

—

მოკავშირენი და საქართველო.

თბილისი, 5 დეკემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მიღებულ ცნობათა მიხედვით, ნაწილი მოკავშირეთა ესკადრისა, რომელმაც ამასწინათ ინახულა ქ. სოხუმი ღა ფოთი, ამ ჟამად ბათომში იმყოფება. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ დ. თოფურიძესთან ლაპარაკის დროს, ესკადრის ხელმძღვანელთან სრული კმაყოფილება გამოუთქვამთ იმ წესრიგის გამო, რომელიც მათ ჩვენ ქალაქებში დახვედრიათ.

მოკავშირეთა ოფიციალი მისია ბათუმში ჯერ კიდევ არ მოსულა.

339

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მ. 50 ბ.